

სკოპინგის დასკვნა N8

საქმიანობის დასახელება: ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „vivacement“ (ს/კ 416306045)

საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 22.11.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ჯითიეს კონსულთინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „vivacement“-ის მიერ, წარმოდგენილია ქ. რუსთავში (წერეთლის ქ N 41ა), ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში.

აღნიშნულ საქმიანობაზე (ქ. რუსთავში შპს „რუსთავი V.G“-ის ცემენტის წარმოებაზე) 2010 წლის 18 ივნისს გაცემულია №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წლის 6 აგვისტოს, კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე, შპს „რუსთავი V.G“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს „vivacement“-ს. 2020 წლის 31 დეკემბერს, ზემოაღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1268).

ქ. რუსთავში, შპს „vivacement“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, 2023 წლის 13 ოქტომბერს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N548/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2023 წლის 16 ივნისს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა შპს „vivacement“ ცემენტის საწარმოს ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 77 მუხლის მე-3 ნაწილით (ხმაურის დადგენილი ნორმების გადაჭარბება), 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტებზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №078964 ოქმი.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ცემენტის საწარმოს განთავსება გათვალისწინებული იყო სამრეწველო ზონაში, 600 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე (წერეთლის ქუჩა N41ა) თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ცემენტის საწარმო მოწყობილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მქონე ორ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.05.07.737 და 02.05.07.716), რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 5 992 მ²-ს. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით (წერილი N: 01-3823348465) ცემენტის საწარმოს ტერიტორია „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად მდებარეობს საწარმოო ზონა (იზ-1). დოკუმენტის თანახმად, არსებული ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო საზღვრამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 12 მეტრს, ხოლო უშუალოდ ცემენტის წარმოებისათვის განკუთვნილი ბურთულეებიანი წისქვილიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით. საწარმოდან 85 მეტრში მდებარეობს ე.წ მარიინის არხი.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ცემენტის დაფქვისათვის განკუთვნილი **3 ტ/სთ** წარმადობის ორკამერიანი ბურთულეებიანი წისქვილი, სილოსები, საოფისე და დამხმარე შენობა-ნაგებობები. ცემენტის საწარმოში ხორციელდება კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით სხვადასხვა მარკის **პორტლანდცემენტის** (მარკა „300“ და მარკა „400“) წარმოება. არსებული მდგომარეობით, ცემენტის საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს - **7 200 ტონას**, 300 სამუშაო დღისა და 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით. (7200 ტ პროდუქციის წარმოებისთვის გამოიყენება **5 760 ტ** კლინკერის, **360 ტ** თაბაშირის და **1 100 ტ** დანამატი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ცემენტის საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და წარმადობის ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. ობიექტის ტერიტორიაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ 3 ერთეულ სილოსთან (თითოეული 65 ტონა) ერთად, დამატებით მოეწყო 7 ერთეული სილოსი (2 ერთეული – 30 ტონიანი, 2 ერთეული – 120 ტონიანი, 3 ერთეული – 62 ტონიანი სილოსები). დაგეგმილია 3 ერთეული (თითოეულის მოცულობა 60 ტ) სილოსის მოწყობა. ასევე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, აირმტვერდამჭერ სისტემაში 24 სახელოებიანი ფილტრის ნაცვლად, დამონტაჟდა 48 სახელოებიანი ფილტრი, მოეწყო უწყვეტი მონიტორინგის სისტემა და განთავსდა 3 ტ/სთ წარმადობის მქონე სარეზერვო ბურთულეებიანი წისქვილი, რომელიც იმუშავებს არსებული წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის ან გეგმიური სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს კლინკერისა და დანამატების დაფქვით ცემენტის წარმოებას. საწარმოს გააჩნია ორკამერიანი ბურთულეებიანი წისქვილი, მაქსიმალური წარმადობით - 3 ტ/სთ. ცემენტის მაქსიმალური წლიური წარმოება 8 საათიანი სამუშაო რეჟიმისა და წელიწადში 300 სამუშაო დღის გათვალისწინებით, შეადგენს 7200 ტონას. აღნიშნული რაოდენობის ცემენტის წარმოებისათვისაც საწარმო გამოიყენებს 5760 ტონა კლინკერს, 360 ტონა თაბაშირს და 1100 ტონა დანამატებს. საწარმოში კლინკერი შემოდის მზა სახით და გამოწვას არ საჭიროებას.

კლინკერის საწყობში ავტომტვირთავებით ხდება კაზმის არევა-მომზადება დადგენილი რეცეპტის შესაბამისად. ნარევი გადაიტვირთება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით გადადის ბურთულეებიან წისქვილში დაფქვისათვის. ბურთულეებიან წისქვილიდან მიღებული მზა პროდუქცია გადადის სილოსებში, საიდანაც ცემენტშიდით მიეწოდება მომხმარებელს ან თავსდება ტომრებში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში, ნედლეული შემოდის ავტომობილებით და საწყობდება ნედლეულის საცავში, რომელიც წარმოადგენს სამი მხრიდან ბეტონის კედლით შემოსაზღვრულ, ფარდულის ტიპის ნაგებობას. ნედლეულის საწყობს ესაზღვრება მიმღები ბუნკერი, რომელიც წარმოადგენს ლითონის კონუსურ კონსტრუქციას და დამონტაჟებულია ბეტონის კედლებზე.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისთვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ცემენტის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენება არ ხდება. ობიექტი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მარაგდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაკრებად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ამოსაწმენდი ორმო, თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვება ხდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ნარჩენების სახეობების ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრისა და ცემენტის მტვრის გაფრქვევა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წარმოდგენილი იყო 9 გაფრქვევის წყარო. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში საწარმოში გაფრქვევის წყაროების რაოდენობა გაიზარდა 8 ერთეულით, შესაბამისად საწარმოში იქნება 17 გაფრქვევის წყარო. **დოკუმენტში მითითებულია, რომ სილოსების დამატებით ადგილი არ ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას. ვინაიდან სილოსები ტექნოლოგიური ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს, აღნიშნული საკითხი დაზუსტებული და დასაბუთებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში.**

საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო კოდების ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საწარმოს მიმდებარედ წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების სამრეწველო

ობიექტები, მათ შორის: შპს „გეო ინვესტის“ და „კოწიწაშვილი და კომპანია“ საწარმოები, შპს „გიორგი ბლიაძის“ შპს „4-ჯ“-ის, შპს „ა და გ“, საკუთრებაში არსებული ობიექტები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის და ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცემენტის საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 95 მეტრში განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ ცემენტის საწარმო, რომელიც მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების განხილვისას დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზშ-ის ეტაპზე მოხდება საწარმოს მიმდებარედ არსებული ობიექტების იდენტიფიცირება და კუმულაციური ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებით ნაწილში, ასევე შეფასებული იქნება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროებია ბურთულებიანი წისქვილი და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. საწარმოო ტერიტორიაზე მოქმედი ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის მაქსიმალური დონა 90 დბა, საწარმოს საზღვრიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 47 დბა-ს, რაც აღემატება „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს. როგორც აღინიშნა, სკრინინგის ეტაპზე გამოვლინდა რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „vivacement“-ის კუთვნილი საწარმოს ინსპექტირებისას, ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით განხორციელებული ექსპრეს-გაზომვების შედეგების მიხედვით, უახლოეს მოსახლესთან ხმაურის დონე აღემატებოდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს. წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გზშ-ის ეტაპზე მოხდება ხმაურის გაზომვების ჩატარება, როგორც უახლოეს მოსახლესთან, ასევე საწარმოს ტერიტორიაზე და გარე პერიმეტრზე, რის შედეგადაც დაიგეგმება შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დეტალურ შესწავლას და შეფასებას, ასევე, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას, მათ შორის განხილული უნდა იყოს საწარმოში წისქვილების დახურულ შენობებში განთავსების საკითხი;

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების

ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 14 დეკემბერს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „vivacement“-ის, შპს „ჯითიეს კონსულტიმის“, სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობას, ვიბრაციის და ხმაურის გავრცელებას, ასევე საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და უწყვეტი თვითმონიტორინგის საკითხებს. განხილვაზე დასმულ საკითხებზე, შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ჯითიეს კონსულტიმის“ და შპს „vivacement“-ის წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილ იქნა სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა სილოსების მოწყობის საკითხებს და რაოდენობების დაზუსტებას, ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვის საჭიროებას, საწარმოს მონიტორინგსა და მონიტორინგის შედეგების ხელმისაწვდომობის საკითხებს, ასევე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების გამოწვეულ ზემოქმედებებს და საჯარო განხილვებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების საკითხებს, ასევე დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოს გარე ტერიტორიაზე, რომელიც არის მუნიციპალიტეტის საკუთრება, კომპანიას დასაწყობებული აქვს ნედლეული. წარმოდგენილ შენიშვნებში/მოსაზრებებში, ასევე აღნიშნულია, რომ საწარმო ახდენს გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევას, კერძოდ: ჰაერში გაიფრქვევა დიდი რაოდენობით მტვერი, ადგილი აქვს ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებას, ასევე აღნიშნულია, რომ საწარმო მუშაობს 24 საათიანი რეჟიმით, რაც არ შეესაბამება დოკუმენტში მითითებულ სამუშაო რეჟიმს. ასევე შენიშვნები/მოსაზრებები ეხება სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, საწარმოში ჩატარებული ინსპექტირების შედეგებს. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დაუშვებლად მიაჩნია საწარმოში მეორე ცემენტის წისქვილის გამოყენება. გარდა ამისა, განცხადების მიხედვით, სკოპინგის ანგარიშში სათანადოდ არ არის დასაბუთებული არაქმედების ალტერნატივა, ასევე შენიშვნები ეხება სარეზერვო წისქვილის დანიშნულებას და აღნიშნულია, რომ მეორე წისქვილი არ არის სარეზერვო და ფუნქციონირებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები, შპს „vivacement“-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, შემდგომი რეაგირების მიზნით გაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ვინაიდან საჯარო განხილვების ორგანიზებას და ინფორმაციის გავრცელებას

უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები ასევე გაგზავნილ იქნა ცენტრთან. განსახილველ საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები, სააგენტოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად **გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს** იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. **გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
 - საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დეტალური დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
 - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- საწარმოში მიმდინარე საქმიანობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების დეტალური აღწერა, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია არსებული/ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული წარმადობების (საათური, დღიური, წლიური) და საწარმოს სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- საწარმოს საქმიანობის დეტალური და თანმიმდევრული აღწერა (ნედლეულის მიღებიდან, მის გადამუშავებამდე, გზშ-ის ანგარიშით და ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული წარმადობების მითითებით), ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია გენ-გეგმაზე დატანით (წარმოდგენილი უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშის და არსებული მდგომარეობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული გენ-გეგმები). გენ-გეგმაზე ასახული უნდა იყოს საწარმოს ყველა ობიექტი, მათ შორის დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები, მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროები);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილების და პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ (გზშ-ის ანგარიშისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით), შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) რომელიც ასევე შეთანხმებული უნდა იქნეს შესაბამის მუნიციპალიტეტთან;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ; ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში

გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);

- ინფორმაცია საწარმოს მტვერდამჭერი სისტემის შესახებ, პარამეტრების (საპასპორტო მონაცემების) მითითებითა და ეფექტურობის დასაბუთებით;
- ინფორმაცია მტვერდამჭერი სისტემის ტექნიკური გამართულობის კონტროლის, პარამეტრების დაცვის, მათ შორის სახელოიანი ფილტრების დროული გამოცვლისა და მტვერდამჭერში დაგროვილი მტვრის მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- საწარმოს სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების (მათ შორის სანიაღვრე და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო) შესახებ (რაოდენობისა და მართვის ღონისძიებების მითითებით);
- ინფორმაცია წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის (ტიპისა და რაოდენობის მითითებით) შესახებ (გზმ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის გათვალისწინებით);
- ინფორმაცია საწარმოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით);
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის /გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით;

- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;
- დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. მოცემული უნდა იქნეს ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება- მოდელირება, და შესაბამისი შედეგები. განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხები;
- ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, გაანგარიშება/მოდელირება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია, ასევე საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო ობიექტების პროფილის, ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით), ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; მათ შორის, საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების/ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებსა და ხმაურის გავრცელებას;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დოკუმენტს ახლავს „დანართი 1“ და „დანართი 2“, თუმცა აღნიშნული დანართები წარმოდგენილი არ არის;
- დაზუსტებას საჭიროებს სილოსების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სილოსების ჯამური ტევადობა 195 ტონიდან გაიზარდა 690 ტონამდე, თუმცა საწარმოში არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დამატებული სილოსების რაოდენობებისა და ტევადობების დაანგარიშებით 690 ტონის ნაცვლად, მიიღება 681 ტონა. ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საწარმოში დამატებით იგეგმება 3 ერთეული (თითოეულის მოცულობა 60 ტონა - ჯამში 180 ტონა) სილოსის დამატება;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია მოსალოდნელია დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ არის დასაბუთებული, რაც გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას.
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ 3 ერთეულ სილოსთან ერთად, განთავსდა დამატებით 7 ერთეული სილოსი, ასევე დაგეგმილია დამატებით 3 სილოსის მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას სილოსების

რაოდენობის გაზრდის საფუძველი/გადაწყვეტილება, რადგან დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საწარმოში არ მომხდარა და არ არის დაგეგმილი წარმადობის ცვლილება;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სარეზერვო ბურთულებიანი წისქვილი, იმუშავებს არსებული წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის ან გეგმიური სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში. წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სარეზერვო ხაზის ჩართვის და მისი გამორთვის სავარაუდო პერიოდების, ასევე სარეზერვო წისქვილის ჩართვის/გამორთვის დროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმირების შესახებ;
- საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო კოდეხის ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საწარმოს მიმდებარედ წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების სამრეწველო ობიექტები, მათ შორის: შპს „გეო ინვესტის“ და „კოწიწაშვილი და კომპანია“ საწარმოები, შპს „გიორგი ბლიაძის“ შპს „4-ჯ“-ის, შპს „ა და გ“, საკუთრებაში არსებული ობიექტები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის და ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცემენტის საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 95 მეტრში განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ ცემენტის საწარმო, რომელიც მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების განხილვისას დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული საკითხები დეტალურად უნდა შეფასდეს გზმ-ის ანგარიშში.
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სანიაღვრე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს, სანიაღვრე წყლების დამაბინძურებელი პოტენციური წყაროები მდებარეობს გადახურვის ქვეშ, ასევე მითითებულია, რომ ცემენტის საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების პოტენციური დაბინძურების წყაროდ განხილულია შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული გრუნტი. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შესახებ ინფორმაცია, ამასთან, ვინაიდან, ობიექტი ნაცვლად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილული 600 მ² ფართობის მქონე ტერიტორიისა მოეწყო 5 992 მ² ჯამური ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე, გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხები. გარდა ამისა, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სანიაღვრე წყლების დამაბინძურებელი პოტენციური წყაროები მდებარეობს გადახურვის ქვეშ, რაც არ შეესაბამება საწარმოში არსებულ მდგომარეობას, რადგან 2023 წლის 14 დეკემბერს, სააგენტოს წარმომადგენელი იმყოფებოდა საწარმოში, რა დროსაც დადგინდა, რომ ცემენტის წისქვილი სათანადოდ არ იყო გადახურული, ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2010 წლის გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ცემენტის წისქვილის მოწყობა გათვალისწინებული იყო დახურულ შენობაში, ხოლო სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ წისქვილი მოწყობილია

ფარდულის ტიპის შენობაში. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული საკითხების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;

- წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის (შესაბამისი დასაბუთებით) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია, ასევე ქ. რუსთავის მერიის ინფორმირების, პოზიციის გათვალისწინებისა და შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მოეწყობა ონლაინ მონიტორინგის სისტემა“, ასევე მითითებულია, რომ დაგეგმილია ონლაინ მონიტორინგის სისტემის მოწყობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ხმაურის დადგენილი ნორმების გადაჭარბება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხმაურის დონეების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი გაანგარიშებით/მოდელირებით და დასაბუთებით.
- 2010 წლის გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ცემენტის წისქვილის მოწყობა გათვალისწინებული იყო დახურულ შენობაში, სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ წისქვილი მოწყობილია ფარდულის ტიპის შენობაში. ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით, განხილული უნდა იყოს საწარმოში არსებული წისქვილების დახურულ შენობებში განთავსების შესახებ ინფორმაცია;
- ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს 2020 წლის 31 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1268) განსაზღვრული პირობების (№38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილია 2020 წლის 31 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-1268) ძალადაკარგულად გამოცხადება, აღნიშნული მოთხოვნა უნდა აისახოს გზმ-ის ანგარიშში.
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის წარმოებაში გამოსაყენებელი თაბაშირისა და დანამატების მიღებისა და დასაწყობების პირობების შესახებ ინფორმაცია, რაც წარმოდგენილი უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში;

- წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო განხილვაზე გამოთქმული, ასევე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ დეტალური და დასაბუთებული ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და საკითხების გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „vivacement“-ის მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.